№ 15 ყოველდღიური გაზეთი

# ჩვენი ცხოვრება

წელიწადი 1. ოთხშაბათი 18 ივლისი, 1912

გაზ. „ჩვენი ცხოვრება“ ღირს როგორც ქუთაისში, ისე ქუთაისს გარეთ, ერთი წლით—7 მ., ნახევ. წლით—4 მ., სამი თვით ქუთაისში—2 მ. და 50 კ., თვიურათ ქუთაისში—80 კ., ქუთაისს გარეთ—90 კ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ ორჯერ [illegible] რამდენიც ქუთაისში ღირს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 3 მ., 3 საათს შემდეგ 4 მან. გაზეთის [illegible] რა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ამათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭირო საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა პროვინციაში 40 კ.

რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლში.

ფარილეულობის მაღაზია

საჯაჭრო სახლი ... მ. ვართანოვი და ამხ.

ვორონცოვის ქუჩა სახლი ჭიჭინაძისა.

იშოვება დიდი ძალი ახალი მოდის ფართლეულობა. ფასები ძლიერ ზომიერია და უვაჭროთ შაბათობით ნაჭრების იაფი გაყიდვა.

ამ წლის პირველი ივლისიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური სპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი

## „ჩვენი ცხოვრება“

გაზეთი წლიურათ ღირს 7 მან., ნახევარის წლით—4 მ., სამი თვით—2 მ. 10 კ. თვიურათ ქუთაისში—80 კაპ., ქუთაისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ 14 მან. განცხადება პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან. რედაქტორ-გამომცემელი ა. სულაქველიძე.

ფულის გამოსაგზანი ადრესი: **Кутаисъ, Юстину Гавріил. Баланчивадзе.**

ფულის მიღება შეიძლება მხოლოდ ბალანჩივაძის სახელზე. რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თედორაძის სახლი, № 6.

ქაღალდის პაკეტების ფაბრიკა და სწრაფლ-მბეჭდავი

**გ. ლ. კვერღელიძისა და დ. ვ. რამიშვილისა**

ბათუმში, პეტერბურგის ქუჩა, № 48 რკ. გზ. სადგურ. სიახლოვეს

მიიღება დაკვეთა ყოველნაირი ხარისხისა და ზომის პაკეტებზე: აფთიქებისათვის კანდიტერებისათვის, საბაკალეინო მაღაზიებისათვის, ხილეულისთვის და სხ. დაკვეთილი პაკეტები მზადდება ჩქარა და დროზედ კეთილსინიდისიერად ნიმუშები პირველ მოთხოვნილებისამებრ.

ფასები ყოველ კონკურენციის გარეშე.

დეპეშის ადრესი: Фабрика Кевергелидзе и Рамишвили.

შუშხუნა „ჩვენი გემო“ კვასი.

დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა საყვედური არ მითხრან: კვასმა „გემომ“ თავისი უწინდელი ღირსება დაკარგა და ეს არ უნდა მოგსვლოდათ. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი სერთო არა გვაქვს „გემოსთან“. ჩვენ, როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ, გავაუქმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ **„ჩვენი გემო“** და თუ „გემოს“ სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა. და ამისთვის მქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადული წყლიდან დამზადებული პურის კვასი, მოითხოვონ ყველგან **„ჩვენი გემო“** და არ აურიონ ის მის მზგავს ფირმებში.

პატივისცემით **მათე გორგილაძე და ამხანაგობა.**

მისამართი: სუდების ქუჩა, სახლი № 6.

## განცხადებანი

**თბილისის ხელისმომწერთა საყურადღებოთ.**

თბილისში გაზ. „ჩვენ ცხოვრებაზე“ ხელის მოწერა შეიძლება შემდეგ ადგილებში: 1) პირველ საპოლიციო უბანში ვერაზე, ბელინის ქუჩა № 13, კვასი „გემოს“ ქარხანა; მოსე ფირცხალოშვილთან. 2) ერევნის მოედანთან, სომხის ბაზრისა და პუშკინის ქ. კუთხე № 1; ვასილ ხუცავას მაღაზიაში. 3) ავლაბარში: მე 7-დე საპოლ. უბ., კახეთის ქ. № 7, ავტომობილის იადგური (თბილ.-სიგნახ.) ავთანდილ გულევთან. 4) ნაძალადევში (ნახალოვკა) მომხმარებელი საზოგადოება „მომავალის“ მაღაზიაში.

**ექიმი ირ. ცეხანოვსკი** ლებულობს შინაგან, საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავათმყოფებს დილის 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე.

ადრესი: კარავან სარაისა და მიხაილოვის ქუჩების კუთხე, სასტუმრო „ლონდონი“.

**თფილისი, ნაძალადევი.**

**ექიმი კბილისა**

ა. (გ) ბ. დოლიძე გადავიდა **ნაძალადევში** რკ. გზ. ხიდის ახლოს ჩერქეზოვის ქუჩაზე № 145, ბ. დვალიძის სახლში.

**სწამლობს კბილისა, ღრძილისა და პირის ავათმყოფობას,** აგრეთვე აკეთებს პლომბებს, სწმენდს და აცილებს კბილის ქვას, იღებს უვარგისს კბილებსა და ფესვებს და უდგამს ხელოვნურ კბილებს. დილის 8—2 ს-მდი და საღ. 5—7 საათ.

## ჭიათურაში

ჟურნალ-გაზეთების აგენტთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთ. **„ჩვენი ცხოვრება“-ზე.** მიიღება აგრეთვე ყოველგვარი განცხადებები, იმავე გაზეთში მოსათავსებლათ. ამასთანავე ზოგიერთ აქაურ მკითხველთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ დროზე გაგვისწორონ მათზე დარჩენილი ანგარიში; წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მათი სახელი და გვარი გაზეთში გამოვაქვეყნოთ და თუ ამ საშუალებამაც არ გასჭრა, მაშინ მათთვის უფრო შესაფერ სასტიკ ზომასაც მივმართავთ.

**გაზ. ბიუროს აგენტი ჭიათურაში.**

**ფოთში** ჩვეულებრივ მიიღება ხელის მოწერა გაზ. „ჩვენი ცხოვრებაზე“ ბინაზე მიტანის არ გადახდებათ, აგრეთვე მიიღება საგაზეთო განცხადებები.

P. S. მოვაგონებთ იმ პირებს, რომლებსაც **სამი და ექვსი** თვის განმავლობაში ბინაზე მიტანილი გაზეთების ფასი არ გადაუხდია, ვთხოვთ 20 ივლისამდ შემოიტანონ,

პატივის ცემით **ს. დ. ორაგველიძე.**

**Курсистка** Моск. Высш. Жен. Курс. репетируетъ по всѣмъ предметам, (долголѣтняя практика) специальность русск. яз. и литература. Ивановская ул., близъ нагорнаго участка, д. Оганезовыхъ. Спросить Астафьеву.

**ექიმი მ. მგალობლიშვილი** იღებს ბავშთა, შინაგან და საბებიო სნეულ ავადმყოფთ, დილის 10—1 საათ. საღ. 5—7.

გაგარინის ქ. № 1, პოლიცმეისტრის კანცელარიის პირდაპირ.

მიხეილის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო

## ბანკის გამგეობა

### ქუთაისში

ამით აცხადებს

1) რომ იგი **იძლევა გრძელვადიან სესხს** ქ.ქ. თელავისა, სიღნაღისა და ყარსის უძრავ ქონების გირავნობით და აგრეთვე დაბა ახალ-ქალაქისა, სურამისა, მიხაილოვისა, მანგლისისა, ცხინვალისა, ბოროჯომისა, აბასთუმნისა, ჰოსად კოჯრისა, დაბა ჭიათურისა, ონისა, ხონისა, ყვირილისა, ახალ-სენაკისა, ზუგდიდისა, სამტრედიისა, საჩხერისა და ქობულეთის უძრავ ქონების დაგირავებით, **იმავე პირობებით, როგორც ქალაქის მამულები გირავდება.**

2) რომ **ქალაქ სოხუმში** 20 ივნისიდან ამა წლისა **გვყავს მუდმივი აგენტი-დამფასებელი** (თ. დავით გრ. წულუკიძე) **რათა სესხის მიცემა სწარმოებდეს დაუყონებლივ.**

## ადგილობრივი პრესა.

გაზ. „ქართლი“ შემოგვწყრა: ჩვენ დიდათ გულწრფელი მოღვაწეები ვართ და წუნის დადება როგორ გვაკადრეთო.

გავკადნიერდებით და მოვახსენებთ „ქართლი“-ს რედაქციას, რომ ამის დანაშაული მათვე ედებათ. აბა რა ჩვენი ბრალია, რომ არ იციან რაზე სწერენ და რასა სწერენ. განა ასეთებს გულწრფელობა უშველით?

აი თუნდ მათი პასუხი ავიღოთ. სიტყვა „ბედის“ შესახებ სიტყვების აზრთა ცვლილებაზე ლექციას გვიკითხავს. კარგი და პატიოსანი. სიტყვათა და გამოთქმათა აზრი ხშირათ იცვლება დროთა განმავლობაშიო; მარა როდის იყო, რომ ბედი, რა მნიშვნელობითაც უნდა აიღო იგი, ხალხისგან ერთი მიმართულების წარმომადგენლების არჩევას, მისგან თავის ინტერესების გაგებას მოასწავებდა? არა ბ.ბ.! თავს ნუ იკატუნებთ. თქვენ „ბედი“ იხმარეთ იმისთვის, რომ გეთქვათ—ხალხისაგან ერთი მიმართულების დეპუტატების არჩევა შემთხვევის ბრალიაო.

მარა ამ „ბედს“ და მის მნიშვნელობას თქვენი ჭირი წაუღია. დაე ბედს დააბრალეთ. ეს „ბედი“ მომავალშიაც არ გაულიმებს იმათ, ვინც ცხოვრებას ანგარიშს არ უწევს და მის სიღრმეში ჩახედვის მაგიერ, ყოველ დამარცხებას ფათერაკს მიაწერს.

ჩვენ დავაკვირდეთ არსებით პასუხს არსებით კითხვაზე.

როგორ დაიცვეს ჩვენმა დეპუტატებმა ხალხის ინტერესები სახ. დუმაში?

ამ კითხვაზე „ქართლი“ თავის პასუხში საღებით იმეორებს „სახ. გაზეთის“ კრიმანჭულს.

„სახ. გაზეთმაც“, როგორც თქვენ ახლა, ბ.ბ. „ქართლი“-ს მესვეურნო, ქართველი დეპუტატების მოღვაწეობაში იმ სამი ფაქტის მეტი ვერ დაინახა, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ პრესაში. მარა მას ეს პარტიული მიკერძოებით მოუვიდა; საბაბი მიეცა და რათ არ უნდა ჩაეწიხლა მოწინააღმდეგე, თუნდაც ნამცეცა სიმართლე არ ქონოდა? ეს ხომ მათი ჩვეულება. ხოლო როცა თქვენ იმასვე იმეორებთ—უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენს „უპარტიო“ დროშას ეს ვერ ეპატივება. (მართლა არ იფიქროთ თქვენი „უპარტიობა“ გვჯეროდეს).

გულწრფელ დემოკრატობას რომ ჩემობთ, ჩვენ მისთვის მოგიყვანეთ ისეთი საკითხი მათგან აღძრული, რომელიც დემოკრატს და ისიც გლეხების გულშემატკივარს არ უნდა გამოპარვოდა მხედველობიდან, მარა გამოგეპარათ. გამოტყდით რა იყო მიზეზი: უცოდინარობა თუ წინასწარი განზრახვა?

თქვენ კი აყოლილხართ და იმეორებთ იმ უმართებულო ქცევას, რომელიც „სახ. გაზეთმა“ ჩაიდინა. თუ „უპარტიობა“ გიდევთ გულში, ასე გულუბრყვილოთ რაზე იმეორებთ მათ ღვარძლიან სიტყვებს? აი ამაზე იტყვიან: ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო.

ირწმუნებით, სამი საკითხის მეტს არ შეხებიან ჩვენი ცხოვრებიდანო. „სახ. გაზეთს“ ამის გამო ჩვენ სხვაც მრავალი ჩამოვუთვალეთ, მაგ. გადასახლება, ენა, ეროვნული უფლებები, ადმინისტრაცია, თვითმართველობა და სხ.. და მოვითხოვეთ დაესახელებიათ ის დიადი კითხვები, რომელიც მათ უყურადღებოთ დასტოვეს.

რადგან თქვენ მოგისურვებიათ „სახ. გაზეთი“-ს კამპანიაში ყოფნა, ერთი მოვალეობა თქვენც უნდა იკისროთ—დაეხმარეთ „სახალხო გაზეთს“ და გამოაძებნინეთ ორიოდ საყურადღებო საკითხი მაინც ჩვენი ერის ცხოვრებიდან, რომელზედაც ჩვენს დეპუტატებს ხმა არ ამოუღიათ ჩვენს შენიშვნაზე „ჩვენ დეპუტატებს არც ერთი საკითხი არ დაუტოვებიათ უყურადღებოთ“ მეთქი,—თქვენ გაკვირვებითი ნიშანი დაგისვამთ.

გაამართლეთ მაინც ეს გაკვირვება. სცადეთ, ჩვენ გიცდით!

## ახალი ამბები.

✦ ქუთაისის საოლქო სასამართლოს მთავარმა გამომძიებელმა ზუგდიდში თავად მინგრელსკის მამულში კაკიას მოკვლის გამო სამართალში მისცა მთავარი გამგე მინგრელსკის მამულების ვლადიმერ ალშიბაია და მისი თანაშემწე ჯაფარიძე. ორივე დამნაშავე 10,000 მანეთის თავდებობას ქვეშ გაათავისუფლეს.

✦ ქუთაისის საპყრობილეში სხედან გამოძიების ქვეშ მყოფი ტუსაღი 761, ადმინისტრატიულათ დასჯილი 28, კატორღა და გადასახლებას მისჯილი 143, ციხე-მისჯილი 69, ვალის შეუძლო გადამხდელი 1.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა, ბ-მა სლავოჩინსკიმ სამეურნეო შკოლის ზედამხედველ ბ-ნ ალექსანდრე შარაშიძეს და ამავე შკოლის მზრუნველს თავად პეტრე წულუკიძეს ნება დართო გამოსცენ ქუთაისში სამეურნეო გაზეთი სახელწოდებით „სასოფლო გაზეთი“

✦ სახალხო წარმოდგენების მართველი სექცია პარასკევს 20 ივლისს დაბა სამტრედიაში მართავს წარმოდგენას. თამაშობენ ტრ. რამიშვილის „საბედისწერო დამბაჩას“

✦ ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრთა საზოგადო დადგენილებით მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების ხელმძღვანელ კომისიაში დაინიშნა საგუბერნიოსი—ნ. ე. ჩერბაჩევი. სამაზროების: ქუთაისის—გ. ი. ვასილიევი; ართვინის კ. მ. შნეიდერი, შორაპნის ნ. პ. ლიაპინი რაჭის—ა. ე. პეტროვი, სოხუმის სმირნოვი, ბათუმის—პლეტნიკოვი, ზუგდიდის—ლ. ნ. ჩიჟოვი, ოზურგეთის—ვ. მ. ბელაუსოვი, ცაგერის—ს. გ. მიქელაძე, და ფოთის—მ. ნ. დელიუსტო.

✦ † **პეტრე ჭიაძე.** ქალაქ იაროსლავიდან (იაროსლავის გუბერნია) გვწერენ—აქ გარდაიცვალა პოლიტიკურ საქმის გამო გადმოსახლებული პეტრე ჭიაძე.

✦ ქუთაისში შედგა ამხანაგობა, რომელსაც განუზრახავს გამოსცეს ქუთაისში საადრესო წიგნი **„Весь Кутаисъ“**

✦ კვირას 22 ივლისს დაბა ჩხარში ადგილობრივ შკოლის დარბაზში პ. შოთაძის და ი. ზარდალიშვილის მონაწილეობით წარმოადგენენ სიო ქანტურიშვილის სამ მოქმედებიან დრამას „მორევში“.

✦ იესე თევზაძე ავათმყოფობის გამო ნივთიერათ ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაშია; თან წვრილი ცოლშვილი ყავს სარჩენი. იგი მიმართავს გულშემატკივართ და სთხოვს დახმარებას. ადრესი: პუშკინის ქუჩა, ილიკო სტუპაკოვი.

✦ გუშინდელ №-ში გ. რობაქიძის საპასუხო წერილში გაგვეპარა შემდეგი შეცთომები: მეორე სვეტის სხოლიოში სწერია **Шоты изъ устава**; უნდა იყოს **изъ Руставa** მეოთხე სვეტის 28 სტრიქონში მეტია სიტყვა „ჩვენი“.

### თფილისი.

✦ თფილისის ქალაქის გამგეობასთან არსებულმა სტატისტიკურმა ბიურომ 16 ივლისს ნაშვადღევის 2 საათამდი სახ. დუმის საარჩევნო სიებში ჩაიტანა სამსახურის ცენზის მქონენი რუსულ კურიიდან 2330 და საზოგადო ამრჩევლები ზემო-აღნიშნულ ცენზის მქონენი, 1797 კაცი.

(З. Р.)

✦ ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი დასასვენებლად ხუთი კვირით მოსკოვში მიდის, წავა 20 ივლისს.

✦ პროფ. სივერსი გუშინ ქალაქის მოურავ ა. ი. ხატისოვთან იყო და გადასცა საბოლოოდ შედგენილი ინსტრუქცია ქალაქის ბუხგალტერიის რეორგანიზაციისა. საუბრის დროს ქალაქის მოურავთან პროფ. სივერსმა დაადასტურა, რომ ქალაქის ცენტრალურ ბუჰგალტერიაში ანგარიშები წესიერათ სწარმოებს და ამჟამად უმთავრესი ყურადღება სხვა განყოფილებებს უნდა მიექცესო. პროფ.

სივერსიმ, ქალაქის მოურავს განუცხადა, ჯაფასა და შრომას არ დავზოგავ და მომავალს ზაფხულში კიდევ ჩამოვალ, რათა შევამოწმო, საქმე როგორს დონეზე იქნება მაშინ დაყენებულიო.

✦ ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტის განხილვას ქალაქის გამგეობა, აგერ ერთი კვირაა, შეუდგა. პროექტის განსახილველად კრებები აქვს ყოველ დღე, ნაშუადღევის 2 საათიდან.

✦ 1812 წლის სამამულიშვილო ომის აღსანიშნავად განზრახულ დღესასწაულის პროგრამა ქალაქის გამგეობამ დასამტკიცებლად გუბერნატორს წარუდგინა.

✦ კავკასიის შინა მრეწველობის მუზეუმი გუშინ-წინ ნამესტნიკის თანაშემწემ სენატორმა ე. ა. ვატაციმა და კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნ. ფ. რუდოლფმა დაათვალიერეს.

✦ პეტერბურგიდან გამოგზავნილმა მოხელემ ფრანცმა 14 ივლისს თფ. საფოშტო კანტორის რევიზია დაასრულა და სატელეგრაფო კანტორის რევიზიას შეუდგა.

✦ ქალაქის გამგეობის წევრნი თ-დნი ალ. მ. და ნ. ი. არღუთინსკი დოლგორუკოვები, რომელნიც დასასვენებლად არიან წასულნი, თფილისში 19 ივლისს დაბრუნდებიან.

## საჭირო განმარტება.

ზოგიერთი ქალაქის გამგეობებმა, რომელთაც კანონით მინდობილი აქვთ საარჩევნო სიების შედგენა (მაგ. ქუთაისისამ) დანიშნეს უკანასკნელი ვადა (12 ივლისი) პენსიონერებისა და ბინის დამქირავებელთაგან განცხადების მისაღებათ, მარა საარჩევნო სიები ამ ვადაზე არ გამოუქვეყნებიათ, ქ. გამგეობა კი საარჩევნო კანონის მე-56 მუხ ძალით ვალდებულია განცხადებები მიიღოს ყოველთვის, სანამ სიებს დაბეჭდავდეს და გამოაქვეყნებდეს. აი რას ამბობს შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტება ამის შესახებ:

**„დაწესებულებები, რომლებიც საარჩევნო სიებს ადგენენ, ვალდებულნი არიან მიიღონ განცხადებები ამომრჩევლებისაგან იმ დღემდი, სანამ სიებს ფაქტიურათ გამოაქვეყნებდენ.“**

აქედან, და თვით კანონის ტექსტიდანაც, აშკარათ სჩანს, რომ ქ. გამგეობამ ამრჩევლებისაგან უნდა მიიღოს განცხადება მათი სიაში შეტანის შესახებ მანამ, სანამ სიებს არ გამოაქვეყნებს.

ამიტომ ბინის დამქირავებელმა და პენსიონერებმა უნდა განაგრძონ განცხადებების შეტანა ქალ. გამგეობაში.

# დეპეშები.

პ. ღ. ს.

16 ივლისი.

### რუსეთი.

**პეტერბურგი.** საშვალო სასწავლებელში რუსული ენის ახალი პროგრამის შემოღება შესაფერი სახელმძღვანელო წიგნის უქონლობამ დააბრკოლა; გამოცხადდება კონკურსი მეოთხე კლასისთვის სახელმძღვანელო წიგნის შედგენაზე.

**თფილისი.** ცივ გომბორის უღელტეხილზე სამგზავრო დილიჟანსს თავს დაესხა ყაჩაღთა ბრბო და გაცარცვა იგი; მოკლეს ერთი მგზავრი.

### უცხოეთი.

**ლონდონი.** 300,000 დამტვირთველ მუშისა და მატროსისაგან შემდგარმა კრებამ ერთხმათ გადაწყვიტა—არ შეუდგეს მუშაობას და გაფიცვა განაგრძოს, რადგანაც ისინი დარწმუნებული არ არიან, რომ დამქირავებლები მტკიცეთ დაიცავენ გაფიცვამდი არსებულ ხელშეკრულებას. მუშები, რაკი მათ იმედი აქვთ სამი კვირის განმავლობაში მაინც კი შეინახავენ თავიანთ ცოლშვილს, მტკიცეთ დაადგენ ზემო აღნიშნულ გზას.

### სპარსეთი

**თავრიზი.** არდებილიდან იუწყებიან, რომ შახსევანები ჩერაქის მიდამოებში სასტიკათ დაამარცხეს; ისინი გაჩქარებით მეიკინისაკენ იხევენ; ფიდევის რაზმი სურსათს დაუბრკოლებლივ ღებულობს არდებილიდან. შახსევანები გაბოროტებულნი იმ გარემოებით, რომ რუსებს დახმარებას უწევს ამ საქმეში რეშიდ ულ მულკა, ფიქრობენ შეერთებული, ძალით მიიტანონ იერიში მის წინააღმდეგ; ფიდაების რაზმი ახლა დგას უნგარაში მეშკინას ახლო.

მოვიდა თფილისის გრენადერთა პოლკის ბათალიონი, რომელსაც მიეგებენ აჯიჩაის ხიდთან: თავრიზის ჯარების მთავარ სარდალი, რუსეთის საელჩოს მოხელეები და გუბერნატორი.

### ოსმალეთი

**კონსტანტინოპოლი.** უცხოეთის დეპეშებზე ცენზურა გააუქმეს.

ალბანელებთან მომრიგებელი კომისია უკვე გაემგზავრა უსკიუბს, სადაც მას კოსოვოს ველზე 80,000 ალბანელი ელოდება. შედგა კომიტეტის ერთგულ აფიცრებისაგან ახალი ლიგა, რომელმაც დაირქვა სახელათ „კონსტიტუციის მცველნი“.

### ოსმალეთი.

**სოფია.** კონსტანტინოპოლიდან იუწყებიან, რომ კაბინეტი დიდ გასაჭირშია: მინისტრები სამსახურს არ კისრულობენ, ზოგი ავათმყოფობის მიზეზით, ზოგიც სხვაფრივ, ასე რომ მინისტრის რამდენიმე პორტფელს პატრონი აღარა ყავს, მაშინ როდესაც სახელმწიფოს მდგომარეობა კრიტიკულია და დისციპლინის აღსადგენათ საჭიროა მტკიცე ენერგიული ზომების მიღება. ის უნდა გაუმკლავდეს ერთი მხრით „პროგრესისა და ერთობის“ პარტიის მომხრეებს და მეორე მხრით ალბანელებს. თუმცა აპოკრაფიულათ იცნეს აფიცრების მოთხოვნა, რომ დათხოვნილ იქნას პარლამენტი, მარა ამ ამბავმა მეტი მნიშვნელობა და სახელი შეძინა კომიტეტს, რადგანაც ის გამოდის ახლა სამხედრო დესპოტიზმის წინააღმდეგ კონსტიტუციის დამცველათ. ლეგალურათ პარლამენტის დათხოვა შეუძლებელი ხდება, ვინაიდან კონსტიტუციის მე-35 მუხლი ამის ნებას არ იძლევა. ამიტომაც იყო, რომ ყოფილი კაბინეტი ამ მუხლის გაუქმებას ცდილობდა და ახლა სწორეთ ის გახდა მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზათ. რომ სენატმა შეცვალოს ეს კანონი, საჭიროა პარლამენტის დროებით მაინც შეჩერება; ამიტომ ხელახალი რევოლიუცია აუცილებელი ხდება.

---

## უცნაური აზროვნება.

— —

ბედნიერი ხალხი ვართ ქართველები. ტყუილა არ უთქვამს პოეტს.

„ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის სადმე ერი?-ო

ბედნიერი ვართ იმით, რომ გვყავს გამოჩენილი პუბლიცისტი ბ. „შინაური“, რომელსაც ხელთ უპყრია გასაღები ჩვენი ერის ბედნიერებისა, მალამო მის წყლულთა გამოსამთელებელი.

ბედნიერია იმით, რომ მას ყავს ამ უებრო აზრების და იდეების გამავრცელებელი, ქადაგათ დავარდნილი ვინმე არისტოსი. პირველი ღრმა ფილოსოფიურათ ასაბუთებს, მეორე ცხვირსა და პირს დაგიზომავს, თუ მის აზრს არ ენდე და არ იწამე. და რაც უმთავრესია—ეს აზრები გაშუქებულია ეროვნული თვალსაზრისით.

პირველმა ბრძნული კილოთი გვამცნო, რომ ქართველ ერს უშველის შემდეგი: უნდა გამოვიწეროთ და ვიკითხოთ **ყველა** ქართული ჟურნალ-გაზეთები და **ყველა** წიგნები, მხოლოდ შემდეგ გვეძლევა უფლება რუსული გაზეთის ან ჟურნალის გადახედვის. ეს გადაულია ბ. არისტოს და ხესა და მიწას ანგრევს და მოწინააღმდეგეთ შესაფერათ ამკობს: „ცხვირმოკლე უგნურება“, „უხამსობა“, „კბილთ ღრჭენა“, „გადაგვარებული“ და სხვადასხვა.

„რას ნიშნავს... ქართველი ხალხისთვის „მიუცილებელ საჭიროებას“ წარმოადგენს რუსული ჟურნალ-გაზეთების კითხვაო?“... ვინ არის ეს „ქართველი ხალხი“, რომლისთვისაც „აუცილებლათ საჭიროა“ თქვენ მიერ გამოთქმული წყალ-წაღებული აზრის მიღება და აღსრულება?“. ქართველი მუშა და გლეხი, არაა?“ გაკივის ის (სახ. გაზ. № 649).

ეს საშინელი და ქვის გამხეთქი ტირადა მიმართულია წ. კ. გ. ს. ხონის განყოფილების მიმართ, რომელსაც ისეთი უბედურება მოსვლია, რო არ შეეკითხავს წინასწარ ამ ერის ბრძენ მესაიდუმლეთათვის და საჭიროთ უცვნია თავის „მოკლე გონებით“ სახალხო სამკითხველოში **ყველა** მიმართულების გაზეთები მიეწოდებია მკითხველისათვის, მათ შორის რუსულიც. ეს ფაქტი მართალია დიდი ხანია ცნობილი იყო, იგი 6 თვის წინეთ გამოამჟღავნა ხონის განყოფილების გამგეობამ, როცა პასუხი გას „კოლხიდას“ მისი გამოცემის გამოუწერლობაზე, ესე იგი 6 თვის წინეთ დაახლოვებით მარა „სახ. გაზ.“ ფურცლები მაშინ ასეთი ღაღადებით არ აჭრელებულა, თუმცა ვერ დავიჯერებთ, რომ ერის დარაჯს, ბ. შინაურს, ეს შეუნიშნავი დარჩენოდეს.

მაშ ახლა რამ აალელვა ეს ხალხი?

იმან, რომ გამწყრალმა „კოლხიდამ“ მას აქეთ, რაც ის არ გამოიწერეს, დაიწყო კვლევა-ძიება, თუ ვინ იყვნენ მის წინააღმდეგ სიტყვის გამომთქმელი და მათზე ყოველგვარ ცილისწამებას ავრცელებდა. ამ ცილის წამებისათვის ის ხონის საზოგადოების კრებამ გაკიცხვის ღირსად იცნო. და რადგან „კოლხიდა“ ეროვნულ გაზეთათ ითვლება და „სახ. გაზეთსაც“ ასეთათ მოაქვს თავი, ორთავემ იწყინეს და ხონელებს თავის უებარ პრინციპების ლაშქარი დაუსიეს.

ასე წარმოსდგა ეს დიდებული აზრი **ყველა** ქართულ გაზეთების უპირატესობისა რუსულის წინაშე.

საბრალო ხონის განყოფილების გამგეობა და კრება! აბა რა იცოდენ, რომ ასეთ პრინციპებს თელავდენ ფეხქვეშ!

ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ავრცელებს მხოლოდ ქართულ წერა—კითხვას.

ბიბლიოთეკები წერა-კითხვის გამავრცელებელი დაწესებულებაა. მაშასადამე აქ უნდა იყოს მხოლოდ ქართული წიგნები და გაზეთები.

მხოლოდ როგორც გამონაკლი, ან ფუფუნება თუ საშვალება გაქვთ—გამოიწერეთ რუსულიც. ასეთია ეროვნული მცნების სამი მუხლი. ამიერიდან ბ. ახპატელოვები თავის „სიზმრის ახსნით,—ბ. მდივანოვი თავის დარ-ავდართა მაჩვენებელი კალენდრებით ბევრათ მაღლა დგანან ტურგენევზე, ტოლსტოიზე, და სხვ. და სანამ პირველთა კითხვით არ გაბედნიერებულხართ, მეორეებს ხელი არ ახლოთ, თორემ ბ. შინაურის წყრომას და ბ. არისტოს რისხვას სად დაემალებით?

ხუცების „შინაური საქმეები“ ბევრათ მაღლა უნდა დააყენოთ „Русское Богатство“-სა და „Современный Міръ“-ზე. ე. ი. კლერიკალიზმი დემოკრატიზმზე, თორემ ერის მოღალატეს სახელი არ აგცდებათ. ასეთია შეუდრეკელი ლოღიკა შეურყევლი, „ეროვნული პრინციპის“, რომელსაც „სახ. გაზეთი“ და „კოლხიდა“ აღიარებენ.

ჩვენ დღემდე გვეგონა, რომ სამკითხველო იყო პირველ ყოვლისა პოლიტიკურ აზრთა მსვლელობის სახელმწიფო და საზოგადოებრივ საკითხების, და სხვადასხვა მნიშვნელოვან მიმართულებათა გასაცნობათ დაწესებული ამ ღარიბ ხალხისთვის, რომელსაც შეძლება არ აქვს ყველა მიმდინარეობის გზეთი გამოიწეროს. ჩვენ დღემდი გვეგონა, რომ ჩვენი ერის პოლიტიკური ვითარება მჭიდროთ იყო გადაბმული რუსეთის პოლიტიკურ ვითარებასთან. ამიტომ ვფიქრობდით საჭირო იყო ქართველ საზოგადოებრივ მიმდინარეობებთან ერთათ რუსეთის სხვადასხვა თუ არა უმთავრესი მიმდინარეობანი მაინც გაგვეცნო. ეს ხალხის კულტურული და პოლიტიკური ზრდის საშვალებაა. მისი შეგნების წინ წაწევაა. ასე გვეგონა დღემდე.

ასე გონებია ხონის განყოფილებასაც და ამ პრინციპით უხელმძღვანელებია.

პრინციპი, როგორც ხედავთ, კულტურულ-პოლიტიკური თვალსაზრისით და სამკითხველოს პირდაპირ დანიშნულების მხრივ სრულიად სწორი და უტყუარია. შეიძლება წ. კ. საზოგადოების ხონის განყოფილებამ სისწორით ვერ აღნიშნა ყველა მიმართულებები, ავსებთ ეს, და გაასწორებს; მარა მისი ძირითადი აზრის დაგმობა—ეს დიდი „ეროვნული“ უაზრობაა. ქართველი მუშა და გლეხი იმდენათ უვიცი არაა, რომ რუსეთის უმთავრეს მიმართულებათა აზროვნება არ აინტერესებდეს. შეიძლება ბევრმა ვერ შესძლოს რუსულათ წაკითხვა, მარა ვინც შესძლებს, მათთვის ეს ზედმეტი ბარგი კი არ იქნება, პირიქით მეტად საჭირო და გამოსადეგი.

ამას გვეუბნება კულტურული და პოლიტიკური მოსაზრება, ჩვენი ხალხის, ერის, კეთილ დღეობით ნაკარნახევი. და ეს ოდნავათაც არ წარმოადგენს ერის ღალატს და არც იმ პრინციპსას, რომელსაც წერა-კითხვ. საზოგადოება ემსახურება. მას რომ ქართული გაზეთები უაერყო საერთოთ და რუსული გამოეწერა —აი ეს იქნებოდა დაგმობა მისი პრინციპების; ხოლო სამკითხველო რამ ანბანის ასწავლებელ დაწესებულებათ გადაექცია და ამ მიზნით ახპატელოვები გამოეწერა, ეს იქნებოდა ამ პრინციპის დამახინჯება.

და რამდენათაც ვიცი, დღემდე წერა კითხვის არც ერთ განყოფილებას არ აუკრძალავს რუსულის გამოწერა და არ უკანონებს მხოლოთ ქართული გაზეთის მიწოდება მკითხველთათვის. იგი ყოველთვის იწერდა ერთსაც და მეორესაც მათი შინაგანი ღირებულების და თავის ნივთიერი შეძლების მიხედვით. მარა რა დამოკიდებულება აქვს ამასთან ახპატელოვს, გინდ ხუცების ალილუის, რომ მათ წაკითხვამდე რუსულ გაზეთს არ გავეკაროთ.

მამულიშვილობის დიპლომით დაჯილდოებულთ ასეთი აზროვნება არ ეპიტნავებათ, მათ „ქართული“ კი უხსენე და თუნდ ეს უაზრო ადამიანის ბოდვა იყოს, მაინც ოქროთ მიიჩნევენ. დიდათ ვებოდიშები ამ დიდებულ ბრძენთა წინაშე, მარა უნდა მოგახსენოთ, რომ მათ თავის ეროვნული პრინციპები აბსურდამდე მიიყვანეს და მისი სახელით ყოველ უაზრობას ალებენ. ვიქვობ ბევრი ვინმე გაყვეს მათ ამ გზაზე. საღი აზრი ჯერ ასე არ გადაშენებულა.

რ.

## საუბარი პროფესორ ანდრიანოვთან.

— —

როგორც „ჩვენი ცხოვრების“ ქრონიკაში იყო აღნიშნული, ამ დღეებში ქუთაისს ეწვიმრა პეტერბურგის ცნობილი ჟურნალისტი პროფესორი ალ. სერ. ანდრიანოვი. მარტვილის, გელათის, მოწამეთის მონასტრების და ქუთაისის ბაგრატის ტაძრის ნანგრევების დათვალიერების შემდეგ, მე გავმართე პროფესორთან საუბარი სხვადასხვა თემებზე შესახებ კავკასიის ბუნებისა და სახელმწიფო დუმის მოღვაწეობისა. რადგანაც ჩვენი აზრით პროფესორის პასუხები ყველა ჩემმიერ დასმულ კითხვაზე არ არის ინტერესს მოკლებული, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია გავუზიარო მათი შინაარსი მკითხველ საზოგადოებას.

როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე კავკასიაში მოგზაურობამ,—ვკითხე ბ-ნ ანდრიანოვს.

— „კავკასიაში მოგზაურობა პირველი მაგალითია ჩემს სიცოცხლეში. წელს, ზაფხულის დასაწყისს, განვიზრახე დამეთვალიერებინა კავკასია. უმთავრესს ჩემს მიზანს, როგორც სპეციალისტისას, შეადგენდა კავკასიის ისტორიულ სიძველეთ ნახვა და კავკასიის ბუნების გაცნობა. როცა ჩემი განზრახვა გავუზიარე ზოგიერთ ჩემს პეტერბურგელ ნაცნობებს და თან დავუმატე, რომ ფეხით და მარტოდ მარტო ვაპირებ კავკასიაში მოგზაურობას მეთქი, ზოგიერთებმა სიცილით მიპასუხეს: „განა შეიძლება კავკასიაში მოგზაურობა, ხომ გაგძარცვავენ გზაში ყაჩაღებიო“.

კავკავშიაც ერთმა ქართველმა, გვარი არ ვიცი, დამაშინა—ალაგირიდან სამხედრო-ოსეთის გზით მოგზაურობა შეუძლებელიაო და მირჩევდა—მარშრუტი შემეცვალა; თან ისიც დაუმატა, რომ გზაში ვერც საჭმელს იშოვი და ვერც ღამის გასათევ ბინასაო. თვითონ მეო, განაგრძო ქართველმა, რაჭველი ვარ და სამხედრო-ოსეთის გზით ვერ ვბედავ ხოლმე წასვლასაო.

მიუხედავათ ასეთი რჩევისა, მე მარშრუტი არ დავარღვიე. მშვიდობიანათ გამოვიარე ოსეთის გზა, საჭმელიც ვიშოვე, ღამის გასათევი ბინაც, 7 დღე დავრჩი გზაში და, დამტკბარი ბუნების მომხიბლავი სურათებით, ჩამოვედი ქუთაისში, აქედან ნაოლაღევს გავემგზავრე, ვინახულე დეპუტატი ევგ. გეგეჭკორი, რომელთანაც ერთად დავათვალიერე მარტვილის მონასტერი, სადაც ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა გაგვიმართა საუბარი მარტვილის მონასტრის სიძველეზე და მოკლეთ საქართველოს წარსულზე. უნდა მოგახსენოთ, კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ეპ. ლეონიდის გულწრფელმა და გრძნობით სავსე საუბარმა.

მარტვილისა და გელათის მონასტერში დაცული სიძველენი, საუცხოვო მოზაიკა, მხატვრობა, იშვიათი სიტაქიზის ხელთნაწერები აშკარად მოწმობენ, რომ საქართველოს კულტურა მეთერთმეტე საუკუნეში აყვავებული ყოფილა...

— ხომ არ ფიქრობთ თქვენი შთაბეჭდილებების გამოქვეყნებას?

— მე ჯერ აუცილებლათ უნდა განვახორციელო ჩემი განზრახვა. ე. ი. შემოვიარო მთელი საქართველო და შემდეგ ჩემს შთაბეჭდილებებს [illegible] ნებ, გაისად ვაპირებ [illegible] მოგზაურობას და კარგა [illegible] რომ ჩემთან [illegible] წამოვიდოდეს ვინმე. საქართველოზე რომ მთლიანი აზრი შევადგინო, საჭიროა გავიცნო ყველა მისი ნაწილები თავისი ძველი ნაშთებით. მე ყოფილვარ დასავლეთი ევროპის სახელმწიფოებში, დაწვრილებით ვიცნობ შვეიცარიას, მაგრამ ისეთი მომხიბლავი ბუნება, როგორითაც შემკულია კავკასია, არ მინახავს... დასძინა პროფესორმა...

სხვათა შორის მე ვისარგებლე შემთხვევით და სახელმწიფო დუმის მოღვაწეობაზე ჩამოვაგდე ლაპარაკი.

როგორი აზრის ხართ მესამე დუმის მოქმედებაზე?

— მესამე დუმას, როგორც ეს მოსალოდნელი იყო მისი შედგენილობისაგან, არაფერი არ გაუკეთებია ხალხის სასარგებლოთ, მან დააკანონა ის, რაც წინდაწინ შემუშავებული და გათვალისწინებული ქონდა ბიუროკრატიულ მთავრობას. ერთად ერთი, რითაც დუმა ამაყობდა, იყო საყოველთაო სავალდებულო პირველი დაწყებითი სწავლის კანონ-პროექტის მიღება სამინისტროს შეხედულების წინააღმდეგ და ამ გადაწყვეტილებამაც განისვენა სახელმწიფო საბჭოში... დღევანდელი დუმა, ეს ერთგვარი იარაღია ბიუროკრატიის ხელში თავიანთი პროექტების გასაყვანათ... მესამე დუმას შეგვიძლია ვაკუთნოთ პედაგოგიური მნიშვნელობა. მომავლისათვის ნიადაგის მომზადება, თავისუფალი, გაბედული კრიტიკა მთავრობის მოხელეთა მოქმედებისა, მინისტრთა კანონპროექტებისა და სხვათა,—აი ერთად ერთი გზა მასის გათვითცნობიერებისა და ის დეპუტატები, რომელნიც ამ გზით მიდიოდნენ და ამ მიზანს არ ღალატობდენ, შეგვიძლია მათზე ვსთქვათ, რომ ისინი პირნათლათ ასრულებდენ თავიანთ მოვალეობას...

—როგორი აზრის არიან პეტერბურგში კავკასიის დეპუტატებზე—ჩხეიძე—გეგეჭკორზე საზოგადოთ, და პირადათ თქვენ რა აზრისა ხართ მათზე?

— გეგეჭკორმა და ჩხეიძემ დიდი სიმპატია დაიმსახურეს როგორც გამოცდილმა და საქმის მცოდნე პირებმა. მათ ანგარიშს უწევდენ ყველა ფრაქციების წარმომადგენელნი, აგრეთვე საზოგადოებაც. გაბედული, მჭერმეტყველური და საბუთიანი სიტყვებით, დუმის ტრიბუნიდან ისინი მახვილს სცემდენ გულში მოპირდაპირე ორატორებს და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდენ მთავრობის პროექტებს და ადმინისტრაციის მოქმედებებს შეკითხვების დროს. და თუ დუმას ვაკუთნებთ ჩვენ პედაგოგიურ მნიშვნელობას,—ამ მხრივ მათ ღირსეულად აღასრულეს თავიანთი მოვალეობა ამრჩეველთა წინაშე და მასის გათვითცნობიერებას დიდათ შეუწყვეს ხელი.

— როგორც კავკასიიდან არჩეული დეპუტატები, აქცევდენ თუ არა გეგეჭკორი და ჩხეიძე ადგილობრივ საკითხებს ყურადღებას.

— ადგილობრივ საკითხებათ უნდა ჩაითვალოს სწავლა-განათლების საკითხი, (სამშობლო ენაზე სწავლის წარმოება სასწავლებლებში), სასამართლოების რეფორმა, მიწის საკითხი, შეკითხვები ადმინისტრაციის მოქმედების შესახებ, რუსების გადმოსახლების საკითხი კავკასიის ტერიტორიაზე, ეკლესიის შესახებ, ერობის შესახებ და სხვა...

ყველა ამ საკითხების შესახებ ვრცელი, დასაბუთებული და მჭერმეტყველური სიტყვები წარმოსთქვეს გეგეჭკორმა და ჩხეიძემ. ისინი ენერგიულათ მოითხოვდენ სამშობლო ენაზე სწავლის წარმოებას საქართველოს ყველა ტიპის სასწავლებლებში, სასამართლოებში და ყველა დაწესებულებებში სამშობლო—ენაზე საქმის წარმოებას, ერობის შემოღებას, დროებით ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის გაუქმებას, უნივერსიტეტის დაარსებას თფილისში და სხვა... ყველა სამივე დუმის მოქმედებამ განვლო ჩემს წინაშე და უნდა აღვნიშნო, რომ კავკასიის დეპუტატები ღირსეულათ ასრულებდენ თავიანთ მოვალეობას... საკანონმდებლო დაწესებულებათა ისტორია წითელი ხაზით აღნიშნავს ამ დეპუტატების სახელს...

**ის ვარ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის განყოფილება ამხანაგობა პაიებით ს. მ. კირაკოზოვი, ბ. გ. ოგანოვი და ამხ.
გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი
მთავარი განყოფილება ვლადიკავკაზში განყოფილებანი: ქ. თფილისში, გიორგიევსკში, ანდიჯანში, პიატიგორსკში და გროზნაში.
С. М. КИРАКОЗОВЪ, Б. Г. ОГАНОВЪ и Ко
მიღებულია დიდძალი საქონელი სატინა, ბატისტი, ჩესუჩა, პარუსინა კისეია, ჩითი და სხვა ქსოვილები ახალმოდის არშიებით.
полученъ огромный выборъ Сатины батистовъ, чесунчи, парусины, кисеи, ситцы другихъ тканей съ модной каймой.

## ხონის ქ. შ. წ. კ. გ. ს. განყოფილების წევრთა დადგენილება.

თანახმათ ქ. შ. წ. კ. გ. ს. ხონის განყოფილების წევრთა საზოგადო წლიური კრების დადგენილებისა, ვთხოვთ პატივცემულ რედაქციას—დასტამბოს ეს მოხსენება საზოგადო კრების გაზეთ „კოლხიდის“ გამგეობისადმი დამოკიდებულების შესახებ.

ყოველ დღიური გამოცემა გაზეთი-გამომხატველია საზოგადოებრივ აზრთა მიმდინარეობის და ამავე დროს იგი ხელმძღვანელია საზოგადოებრივი აზროვნებისა; იგი თვალყურს ადევნებს საზოგადო ცხოვრების მაჯის ცემას, აღნიშნავს მის ცუდს და კარგს მხარეებს, გმობს და კიცხავს ცუდს, აქებს და ადიდებს კარგს; ამით საზოგადოებას გზას უკვლევს და ემსახურება მის პროგრესს. ისტორიამ დიდი და საპატიო როლი არგუნა ბეჭდვით სიტყვას და ამისათვის ეს უკანასკნელი ვალდებულია ფრთხილათ და მოწიწებით ეპყრობოდეს თავის მოვალეობის შესრულებას. ბეჭდვითი სიტყვის ასპარეზი—ეს ერთგვარი საკურთხეველია, სადაც მღვდელმოქმედებას უნდა ასრულებდეს განწმენდილი და განსპეტაკებული ქურუმი.

გაზეთის მსჯელობა მიუდგომელი და ყოველთვის დასაბუთებული უნდა იყოს. მის კრიტიკას, კერძო პირის საზოგადოებრივ მოღვაწეობას შეეხება იგი, თუ მთელი კოლეგიისას, პირადი ხასიათი არ უნდა ქონდეს და დამყარებული უნდა იყოს შეურყეველ ფაქტებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ კრიტიკას სარგებლობის მაგივრათ შეუძლია ვნება მოუტანოს საზოგადოებრივ განვითარებას; ასეთს კრიტიკას საზოგადოება შეცთომაში შეყავს და აგმობინებს მას, რაც დასაგმობი არ არის, ხოლო ადიდებინებს მას, რაც დასაგმობია; აშკარაა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში გაზეთი ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, და საზოგადოება ვალდებულია ხმა აღიმაღლოს ამის წინააღმდეგ.

ამ უკანასკნელ ხანებში გაზეთი კოლხიდა აკრიტიკებს ხონის განყოფილების მოქმედებას, და ეს კრიტიკა ზევით აღნიშნულ მავნებელი ჯურის კრიტიკას წარმოადგენს. გამგეობა ეცდება ეს დებულება ფაქტებით დაასაბუთოს.

იანვრის პირველ რიცხვებში გამგეობას თავის სხდომაზე მსჯელობა ქონდა ხონის ბიბლიოთეკისათვის ჟურნალ-გაზეთების გამოწერის შესახებ. ნივთიერათ შევიწროებული გამგეობა იძულებული შეიქნა—შეემცირებინა გამოსაწერ ჟურნალ-გაზეთების რაოდენობა და გამოიწერა ის ჟურნალ-გაზეთები, რომელნიც მისი შეხედულებით უსაჭიროეს მოთხოვნილებას წარმოადგენდა: — „სახალხო გაზეთი“, „თემი“, „განათლება“, „Закавказская рѣчь“; ერთი სატახტო რუსული გაზეთი და ერთი რუსული ჟურნალი პროგრესიული მიმართულებისა; თუ გამოვიდოდა ქართული გაზეთი მეორე მიმართულებისა—ისიც უნდა გამოწერილიყო.

„კოლხიდის“ მე-7 №-ში ამ დადგენილების შესახებ ორი წერილი დაისტამბა —ერთი კორესპონდენცია, მეორეც მეთაური. კორესპონდენციაში ფაქტი დამახინჯებული იყო: გაზეთი ამბობდა— „კოლხიდა“ გაძევებულ იქნა სამკითხველოდან გამგეობის ერთი წევრის წინადადებით, რომელსაც „კოლხიდისადმი“ სიძულვილი ამოქმედებდაო და ბოლოს დაასკვნიდა: ბეჭვდითი სიტყვას სდევნიან და პროგრესიულ ხალხის სახელს კი ატარებენო. თავის მეთაურში გაზეთი მეტათ, გაბრაზებული, გამგეობას ერის მოღალატობას სწამებდა და მუქარით ათავებდა წერილს: „ჯერ გავიგოთ, ვინ არიან ამ განყოფილების წევრები, რა სახელს უწოდებენ იმ დაწესებულებას: რომელიც „კოლხიდას“ აძევებს და ვინ თავმჯდომარეობს ამ განყოფილების ამ გვარ კრებას-ო და იგულისხმებოდა, მერმე ჩვენ ვიცითო.

ამგვარათ—ამ პირველ თავის გამოსვლაში გამგეობის წინააღმდეგ, პატივცემული გაზეთი მთელს გამგეობას ბეჭვდითი სიტყვის მდევნელის, ერს მოღალატის სახელით ნათლავდა. პატივცემული საზოგადოება დაგვეთანხმება, რომ ყველა ეს ბრალდებები მეტათ მძიმეა და გაზეთი, ეს საზოგადოებრივი აზრის მიუდგომელი ხელმძღვანელი, სანამ ასეთ ბრალდებებს ვისმე თავზე მოახვევდეს, ვალდებულია უტყუარის ფაქტებით დარწმუნდეს ამ ბრალდებების სინამდვილეში.

სიმართლის აღსადგენათ გამგეობამ „კოლხიდის“ მე № 25 კოლექტიური წერილი მოათავსა, სადაც საქმის ნამდვილი გარემოება აღნიშნა; იმის მაგივრათ, რომ გაზეთს გულწრფელათ აღეარებინა, რომ იგი შეცთომაში შეიყვნეს, მან გამგეობის წერილს შენიშვნა დაუკეთა,—თუ სახსარი არ გქონდათ, რუსულ გაზეთს რათ იწერდით, იმ ფულით „კოლხიდა“. გამოგეწერათო. სთქავთ „კოლხიდა“ იმ აზრის არის, რომ ქართველმა მარტო ქართული გაზეთი უნდა იკითხოს; ხონის განყოფილების გამგეობა კი ფიქრობს, რომ დღევანდელ პირობებში თვით ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ქართულ გაზეთებთან ერთად რუსული გაზეთების კითხვა; მართალია, გამგეობის აზრი არ ეთანხმება „კოლხიდის“ აზრს, მაგრამ განა ეს აძლევს უფლებას „კოლხიდას“ გამგეობა ერის მოღალატეობა უკიჟინოს?

გამგეობა ფიქრობს; რომ გულწრფელი, სერიოზული ორგანო ამ წერილის შემდეგ თავის შეცთომას აღიარებდა და წამოყენებულ ბრალდებებს მოხსნიდა; „კოლხიდა“ ასე არ მოიქცა; მან გამგეობის წერილს შენიშვნა გაუკეთა და ამით მის მიერ წამოყენებული ბრალდება ძალაში დასტოვა. ესეც არ იკმარა პატივცემულმა გაზეთმა; მან რამოდენიმე დღის შემდეგ მე № 29 წერილი მოათავსა, სადაც მოურიდებლათ განაცხადა— რასაც გამგეობა თავის წერილში ამბობს მტკნარი სიცრუეა, ნამდვილათ საქმის ვითარება ისეთი იყო, როგორც ჩვენ პირველათ აღვნიშნეთო. ამ წერილის შემდეგ, რასაკვირველია, გამგეობამ შესაძლებლათ ვერ სცნო გაზეთ „კოლხიდასთან“ სიმართლის აღდგენის შესახებ ლაპარაკი. ამგვარათ ამ მეორე თავის გალაშქრებაში გამგეობის წინააღმდეგ, „კოლხიდამ“ იგი მატყუარას სახელით მონათლა.

ამ მოკლე ხანში (იხ. № 81.) „კოლხიდამ“ გამგეობის მიერ შედგენილი ანგარიშის შესახებ წერილი დასტამბა, სადაც გამგეობას უმოქმედობა, ტრაბახობა უკიჟინა; ეს არ იკმარა და გამგეობის საზოგადოებრივი და ზნეობრივი ფიზიონომიის შეურაცხმყოფელი ბრალდებაც წამოაყენა: გამგეობის წევრები გულწრფელები არ არიან თავის მოქმედებაში, რასაც საზოგადოებაში ლაპარაკობენ, საზოგადოების გარეთ უარყოფენ, ზოგი მათგანი ფეხქვეშ სთელავს იმ აზრებს, რა აზრების განხორციელებაც საზოგადოებას მიზნათ აქვს დასახულიო, განაცხადა პატივცემულმა ორგანომ. განა შესაძლებელია ასეთი ბრალდებები წამოაყენო მთელი კოლეგიის წინააღმდეგ და ამავე დროს ერთი ფაქტიც არ მოიყვანო ამ ბრალდების დასასაბუთებლათ.? რათ არ აღნიშნა გაზეთმა, რაში გამოიჩინეს გამგეობის წევრებმა გულწრფელობის უქონლობა; როგორ გავიგოთ სიტყვები—რასაც საზოგადოებაში ლაპარაკობენ, საზოგადოების გარეთ უარყოფენ, ფეხით სთელავენ იმ აზრებს, რა აზრების განხორციელებაც საზოგადოებას მიზნათ აქვს დასახული? გამგეობას ვერ მოუნახავს ის სახელი, რომლითაც უნდა მოინათლოს გაზეთის ასეთი საქციელი.

ექვსი თვეა მას მერმე, რაც გაზეთი „კოლხიდა“ ხონის განყოფილების გამგეობის წინააღმდეგ ილაშქრებს; ამ ექვსი თვის განმავლობაში გაზეთმა ფრიად მძიმე ბრალდებები მოახვია თავზე გამგეობას და ამავე დროს არც ერთი ეს ბრალდება არ დაუსაბუთებია. გამგეობა ფიქრობს, რომ არც ერთი გაზეთი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი მძიმე მოვალეობა, არ მოექცეოდა ასე კოლეგიალურ დაწესებულებას, რომელიც სამი წლის განმავლობაში სათავეში უდგა ქ. შ. წ. კ. გ. ს. ხონის განყოფილებას. გამგეობა პროტესტს აცხადებს აქ, საზოგადოების წინაშე, გაზეთის ამგვარ საქციელის წინააღმდეგ და, აღნიშნა რა ყველა გამოსვლები „კოლხიდისა“, სთხოვს თავის ამომრჩევლებს თავისი პირუთვნელი მსჯავრი დასდონ ამ გაზეთის „მოღვაწეობას“ ხონის განყოფილების გამგეობის მიმართ.

ქ. შ. წ. კ. გ. ს. ხონის განყოფილების წევრთა წლიური კრების დადგენილება:

ქ. შ. წ. კ. გ. ს. ხონის განყოფილების წევრთა წლიურმა კრებამ, მოისმინა რა მოხსენება შესახებ გაზეთ „კოლხიდის“ დამოკიდებულობისა გამგეობისადმი, იქონია მსჯელობა და ერთხმათ დაადგინა: გამოეცხადოს გამგეობას სრული ნდობა და თანაგრძნობა, ხოლო გაზეთ „კოლხიდას“ —გაკიცხვა, უსაფუძვლოთ გამგეობის შეურაცხყოფისათვის.—

კრების მანდობილობით —თავმჯდომარე გამგეობისა **ა. ჭიჭინაძე. მდივანი პ. კიკალიშვილი.**

დ. ხონი 8 ივლისი 1912 წ.

## ბ-ნ შოლტს და K°-ს.

გაზეთმა „კოლხიდამ“ დიდის რიხით გამოილაშქრა ჩემს წინააღმდეგ. თითქმის ყოველდღე იბეჭდება წერილები სამშაბათელას, შოლტის და ენის ფსევდონიმებით (იხ. 93, 94, 95 „კოლხ.“ ნომრები) ისინი ჩვეულებისამებრ მოყვენ ლანძღვა-გინებას და როგორც მოსალოდნელი იყო სცდილობენ უშვერის ენით გაიტანონ ლელო; არ ეზრახვით, რადგან თქმულება:—ჩვეულება სჯულზე უმტკიცესიო,—ჭეშმარიტებაა.

არც დრო მაქვს და არც სურვილი, რომ თვის დამამცირებელ ლანძღვას ვრცელი პასუხი გავსცე; მინდა მხოლოდ ორიოდე სიტყვა ვთქვა.

ბ-ნ შოლტის წერილისთვის პასუხის გაცემა სულ არ მინდოდა, რადგან ლანძღვის მეტი შიგ არაფერია, მაგრამ უნებლიეთ პასუხს ითხოვს ერთი უვიცი (მაპატიეთ, მაგრამ სხვა დამახასიათებელი სიტყვა ვერ მოვნახე) შენიშვნა: „რაც შეეხება თქვენს წერილს, მისი ავტორის გონებრივი ავლა-დიდების შესამოწმებლათ კმარა იქიდან მარტო ერთი ადგილი მოვიყვანოთ: ინდოეთიო,—გვარწმუნებს ავტორი,—ჰიმალაის მთის ძირშია გაშენებულიო“. აი, რით უნდა შოლტს გააბათილოს ჩემი „გონებრივი ავლა-დიდება; მისი აზრით თუ მე ვთქვი, რომ ინდოეთი ჰიმალაის მთის ძირშია-მეთქი, უვიცობა დავამტკიცე. თუ თქვენს ოჯახში არის, მკითხველო, მესამე კლასის მოსწავლე, მას კითხეთ და თუ არა, თქვენვე გაშალეთ ქარტა და დაინახავთ, სადაც არის ინდოეთი. მაგრამ ზოგან შეიძლება არც მესამე კლასის მოსწავლე იქნეს და არც ქარტა, ამიტომ მოვიყვან ორიოდ ავტორიტეტის აზრს: „Полуостровъ Индостанъ расположенъ у подошвы высочайшаго въ мірѣ Гималайскаго хребта. *) აქედან ნათელია ვის „გონებრივ ავლა-დიდებას“ აბათილებს შოლტის უსაფუძვლო შენიშვნა. შემდეგ ბ-ნი შოლტი ბრძანებს, რომ ჩემი წერილი „შეხანხლული წილადობილაა“, ეს შეიძლება მართალი იყოს, მაგრამ მიკვირს, მაშინ რათ არ შიხრა ბ-ნმა შოლტმა, როდესაც მისი რედაქციით, პირველი ნახევარი ჩემი წერილისა „კოლხიდაში“ დაისტამბა?! თუ მაშინ არ იყო ცუდი, როცა „კოლხიდაში“ იბეჭდებოდა, ნუ თუ მიტომ წახდა, რომ „ჩვ. ცხოვრებაში“ დაისტამბა?!

*) Ковнеръ, Исторія древ. мед. т. I. стр. 31. Цитированіе изъ Veber-a Allgemeine Veltgeschichte leipzig 1857 p. 196. Тумасова Истор. древ. міра.

მე თუ „ჩვ. ცხოვრებაში“ „გადავბარგდი“, მიტომ კი არა, რომ მე ფანატიკოსი ვიყო, ან და განდიდების სურვილით შეპყრობილი, არამედ იმიტომ რომ ბ-ნ შოლტის წერილი სავსეა ლანძღვა-გინებით: გეგეჭკორის ფინიასებური გამზედაობა, კ. ჩხეიძის ბებერი მაიმუნისებური მანჭვა-კლაკვნა და სხ. („კოლხიდა № 83). დიახ, გავცილდი ამ გაზეთს და მიზეზიც აღვნიშნე.

მე თუ გინდ ყველაფერი ვარ, მაგრამ ხონის წ. კ. გ. საზოგადოება და კერძოთ ა. ჭიჭინაძე ხომ ფანატიკოსები და განდიდების სურვილით შეპყრობილნი არ არიან, რომ გაზ. „კოლხიდას“ გაკიცხვა გამოუცხადეს უტიფარი ლანძღვისთვის? (იხ. „ჩვ. ცხ.“ № 11). ნუ თუ გაზეთი „ქართლიც“ ფანატიკოსი და განდიდების სურვილით შეპყრობილია, რომელმაც მთაწმინდელის წერილს შემდეგი შენიშვნა მისცა: „ჩვენი რედაქცია სავსებით ეთანხმება ბ-ნ მთაწმინდელის მიერ გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ უდიერი მოხსენება მოწინააღმდეგისა არ შეეფერება არც ლიტერატურულ ზრდილობას და არც იმ საზოგადოებრივ ჯგუფს, რომელსაც ეკუთვნის ესა თუ ის უდიერი მოკამათე“ (იხ. გაზ. „ქართლის“ №).

ვიმეორებ, „კოლხიდის“ მოცილება ფანატიკოსობით და განდიდების სურვილით კი არ აიხსნება, არამედ იმ უტიფარი საქციელით, რომელსაც ის იჩენს და რომელიც მრავალმა სხვებმა დაგმო.

ორში ერთი: ან ყველა ის, ვინც „კოლხიდას“ საქციელს გმობს, ღირსია იმ ლანძღვა-გინებისა, რომლითაც მე ბ-ნი შოლტი და K° მიმასპინძლდება, ან და, „კოლხიდა“ ლანძღვა-გინების ორგანოთ გადაქცეულა და ვინც ადამიანის პიროვნებას აფასებს და მისი გათელვის წინააღმდეგია, მოვალეა „კოლხიდას“ თავის მსჯავრი დასდოს და მოაგონოს მათ უკვდავი პოეტის სიტყვები: „Только тотъ можетъ цѣнить чужое достоинство, кто самъ обладаетъ имъ“.

რაც შეეხება ბ-ნ ენის და სამშაბათელას უზრდელ ოხუნჯობას, მათ თავს ვანებებ. მასზე მელნისა და ქაღალდის დახარჯვა და მკითხველის შეწუხება დიდ დანაშაულათ მიმაჩნია.

სტუდ. კ. ერისთავი.

# რუსეთი.

(გაზეთებიდან).

**სიტყვის თავისუფლება.** ოდესაში სამასი მანეთით დააჯარიმეს „იუჟნაია მისლი“.

— იმავე თანხით დააჯარიმეს პენზის გაზეთი „კურანტი“.

— სიმფეროპოლში ცენზურის განკარგულებით კონფისკაცია უყვეს ცალკე ფურცლათ გამოსულ სააგენტოს დეპეშებს, რომელშიც იყო თურქესტანის საპირობო აჯანყების ამბავი.

— ხარკოვში მალოროსთა დასის ანტრეპრენიორი საბინინი სამართალში მისცეს, რადგან ლევ ტოლსტოის პიესაში, „ცოცხალ ლეში“-ში პროტასოვის როლის თამაშობისას მას უთქვამს გამომძიებლისათვის: „და თქვენ, იღებთ რა ოც რიცხვში ყოველგვარ სისაძაგლისათვის ჯამაგირს, ატარებთ ამ მუნდირს“. ეს სიტყვები კი ცენზორის მიერ ამოშლილი ყოფილა.

**ბიბლიოთეკის დახურვა.** კიევში ადმინისტრაციამ დახურა უკრაინელების ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელიც ლეგალურათ არსებობდა.

**პოლიციელების გაზეთი.** კიევის მაზრის პოლიციის უფროსმა თხოვნით მიმართა გუბერნატორს, რომ ნება დართოს—გამოსცეს ყოველ კვირეული საპოლიციო გაზეთი.

**უქმეებზე დასვენება.** შინაგან საქმეთა მინისტრი შეეკითხა ფინანსებისა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრებს, თუ რა აზრის არიან ისინი რესტორანებში მომუშავეთა კვირა-უქმე დღე დასვენების შესახებ. შინაგ. საქ. მინისტრის აზრით აუცილებლივ აკრძალული უნდა იქნეს, როგორც რესტორანებში, ისე სახაიებში უქმე დღე ვაჭრობა წირვის გამოსვლამდი მაინც.

**არაკეთილ საიმედონი.** ასი მატროსი, რომლებზედაც ეჭვი აქვთ, რომ ისინი თანაუგრძნობდენ სევასტოპოლში გემ „ზლატოუსტზე“ მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებისთვის დასჯილ მატროსებს,— „ნოვოე ვრემიას“ სიტყვით გადაყვანილ იქნებიან სხვა და სხვა პორტებში.

## წერილი ტუაპსიდან.

როგორც კი დაიწყო რკინი გზაზე მიმოსვლა, ყოველ მხრიდან მოაწყდა მრავალი მუშა, რომელთაც სამუშაო მხოლოდ ზაფხულობით ეშოვებათ, რადგანაც ზამთარში ცივი „ნორდოსის“ გამო, არც ზღვაზე შეიძლება მუშაობა და მით უმეტეს არც რკინის გზაზე. მიმდინარე წლის გაზაფხულმაც კი იმედი გაუცრუათ იმ პირთ, რომლებმაც მთელი ზამთარი უსაქმოთ გაატარეს; მუშაობა მხოლოდ 1 ივლისს დაიწყო ნავთსადგურში და რკინის გზაზედ, სადაც ათიოდე კაცი იქნა მხოლოდ მიღებული, საქმის წარმოება ჯერ ისევ ნელ—ნელა მიდის; ეს ყოველივე გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ პირობისა დაგვარათ გაკეთებულ საქმეს ვერ აბარებდა საფრანგეთის აქციონერთა მოიჯარადე ბ. პერშო: მთავრობისაგან ის გადაყენებული იქნა, და საქმეს ახლა არმავირის კამპანია განაგრძობს. მარა, დიდძალი მუშა ხელი, რომელიც ზემოხსენებულ საქმეების დაწყება-წარმოებას დიდი იმედით შეცქეროდა, ვინ იცის, ახლა იმედ გაცრუებული რა გზას დაადგება.

უსაქმობის გამო ზოგი მათგანი პოლიციამ სამშობლოში ეტაპით გაგზავნა, ზოგი კიდევ დღესაც ციხეში ზის.

18 ვერსის მანძილზე, 18 მაისს, ივერიის მონასტრის მონაზვნებს თავს დაესხა რამოდენიმე ყაჩაღი; წაიღეს სულ 170 მანეთი: ამას მოყვა აქ მყოფ ქართველების საშინელი დევნა, (რადგან ამ ექსპროპრიაციას მხოლოდ ქართველებს აბრალებდენ). მეორე დღეს მონასტრის მახლობლათ ჩასაფრებულმა ადგილობრივმა ოლქის უფროსმა მოკლა ვინმე გედევანიძე. ერთიც დაიჭირა, რომელმაც მოასწრო მიმალვა; ამის გამო აქაური ქართველობის ბედი მონაზვნების ხელში ჩავარდა. ვინც კი ქართველთაგანი პოლიციელს გზაში შეხვდებოდა, იჭერდა და მონაზვნებთან საჩვენებლათ მიყავდა. და ვაი მისი ბრალი, ვისაც მონაზვნები ხელს დაადებდენ! ამნაირათ ყოვლათ უმიზეზოთ რამდენიმე კაცი დღესაც ციხეშია მომწყვდეული.

5 ივლისს ადგილობრივ საპყრობილედან გაიქცენ. ქვარცხავა და კალანდაძე, მაგრამ იმ დღესვე შეიპყრეს, (ამათ ბრალდებათ მონასტრის გაცარცვა). პოლიცია დღესაც სასტიკათ ეპყრობა აქაურ ქართველობას: ადგილობრივმა ოლქის უფროსმა ყველას სავაჭროები დაუკეტა 30 ვერსის მანძილზე; ზოგი სამშობლოში გაგზავნა და ზოგს ვაჭრობის ნებას ჯერაც არ აძლევს.

მ. მაღალ—მიწელი.

# უცხოეთი.

ჩინეთი.

ჩინეთი ცუდ მდგომარეობაშია იქაც არეულობა და ანარქია სუფევს; ახალ წესწყობილებას ვერც იქ აუშორებია ჯერ თავიდან განსაცდელი. ფინანსების მოუწესრიგებლობა, პროვინციების უკმაყოფილება, აგერ-აგერ ჯარების აჯანყება და ბრბოს ანარქიული მოქმედება, საშუალებას აძლევს ახალშობილ რესპუბლიკის პრეზიდენტს იუანშიკაის, ჩინეთის ამ დროებით მთავრობის იმოქმედოს უმთავრესათ ისე, როგორც მას წადია. იგი ერთის თვალით ძველისკენ იხედება, და მეორით ახლისკენ; ერთ ფეხს ძველ ნიადაგზე იმაგრებს და მეორეს ახალზე. უკანასკნელი

სავაჭრო სახლი ი. გოკიელის შვ-ის სავაჭრო სახლი

ამით ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ მიღებულია რკინის კოჭები (двутавровыя балки), ალიბასტრი ბახმუტის საუკეთესო ხარისხის, ცემენტი პორტლანდიის და იყიდება ზომიერ ფასებში.

?დ ა ვ ი თ ქ ე ზ ა ძ ე?

მკითხველების საყურადღებოთ

სავაჭროში ძმ. ფ. და ლ. ფილიპოვების სავაჭროში

ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა ძმ. გოკიელოვების სავაჭროს გვერდით იყიდება შემდეგი საქონელი: ფარფორის, ფაინსის, შუშეულის ნივთები, ყოვლგვარი ლამპები, ემალიანი ჭურჭლები, სამზარეულოს ფეჩები და სპირტოვკები, სამოვრები, უთოები, მელხიორის ნივთები, ყოველგვარი კრაოტები, გიტარები, კლიონკები, სკამები და პირ-საბანები და სხვა.

დიდი კოლექცია ბავშვების სათამაშოების და ბევრი სხვა და სხვა საფეშქაშო ნივთების

პარტიით მყიდველთა საყურადღებოთ აქვე იყიდება დიდ-ძალი საპარტიო ყოველ გვარი ფაიანსის და შუშეულის საქონლები. ფასები შესამჩნევად დაკლებულია.

ცნობებით. ჯარების უფროსები დაპირებიან, რომ შემთხვევის დროს მხარს დაუჭერენ; ამით დაიმედებულ იუანშიკაის დიქტატორული მოქმედება დაიწყო. როცა პალატისაგან დეპუტაცია მიიღო, განაცხადა, რომ მინისტრების არჩევა პალატის დეპუტატთა შორის სავორიაქებულ ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგება. პარლამენტარული წესწყობილების ჩინეთში დამყარება მომავლის საქმეა, ეხლა კი მინისტრების არჩევის უფლება პრეზიდენტსდა უნდა ქონდესო. პრეზიდენტის ამგვარ განცხადებას უგელა საგონებელში ჩაუგდია. ბევრის აზრით ეს უკვე სახელმწიფოებრივი გადატრიალებაა, პეკინიდან გამოგზავნილ გუშინწინდელ დეპეშაში უკვე მოხსენებული იყო, რომ ჯარების და პოლიციის ძალდატანებით პალატამ დაამტკიცა იუანშიკაის მიერ წარდგენილი ხუთი მინისტრი. თუ ეს ოცნება ტყული არ გამოდგა, როგორც ხშირად სჩვევია პეტერბურგის სააგენტოს, იუანშიკაის უკვე მოუპოვებია დიქტატორის უფლებები. ვნახოთ რას გვეტყვის მომავალი.

## დაბა-სოფელი.

**დ. ახალი-სენაკი.** დ. ახალ-სენაკი დღემდი ძლიერ ჩამორჩენილი იყო მეურნეობაში. აქ მხოლოთ სიმინდს თესავდენ, რაც წინათაც კარგათ მოყავდათ და ახლაც კარგათ მოდის. ახლა გავრცელდა თხილის, დაფნის და ვენახის მოშენება. მევენახეობა სწორეთ რო ვთქვათ, კარგათ ვერ მიდის. ამის მიზეზი ბევრია და სხვათა შორის ისიც, რომ ნამყენებს სხვადასხვა ჯიშისას ერთმანეთში ურევენ და ისე ყიდიან. მყიდველებიც ამ არეულ ჯიშის ნამყენებს ერთ სავენახეში რგავენ და ამნაირათ გამოუდისთ არეული ჯიშის ვენახი, რის მთვლა და სარგებლობა უფლათ შეუძლებელია.

1908 წელს აქ რამდენიმე პირის თაოსნობით დაარსდა ამხანაგობა, რომელსაც მევენახეობა-მეურნეობა ქონდა მიზნათ. საწევრო გადასახადი 5 მანეთი იყო მარა 10-15-20 მან. შემოიტანეს; ზოგიერთებმა მეტი, ზოგიერთებმა ნაკლები. ამნაირათ შედგა თანხა, რომლითაც იყიდეს მიწა, რომელიც ხალხმა დირებულზე ნაკლებ ფასათ დაუთმო. ამხანაგობა ხალხს იმედს აძლევდა, რომ იმ მიწაზე ვენახს და ხეხილის ბაღს გააშენებდა. ამ ნაირათ იქ მათი აზრით, სამი წლის განმავლობაში მთავრობის დახმარებით სამეურნეო სადელი-სადგურის განყოფილებაც დაარსდებოდა.

ამხანაგობამ აირჩია „მზრუნველებათ" ნესტორ ჭითავა, მესტამბე პეტრე დგებუაძე და სხვები. ნესტორ ჭითავა სამწუხაროთ მალე გადაიყვანეს მასწავლებლათ ს. ჩხარში საქმეს თავი გაანება აგრეთვე პ. დგებუაძემაც.

შემდეგ აირჩიეს სხვა „მზრუნველები" ზოგი დვდელი, ზოგი დიაკონი და სხვებიც, რომლებსაც მეურნეობის არაფერი გაეგებათ. ორმა წელმა ისე გაიარა, რომ მზრუნველებს არაფერი გაუკეთებიათ. საამხანაგო მიწაზე კი ითესება მხოლოთ სიმინდი.

ბ. ნ. ჭითავას და ბ. პ. დგებუაძეს გამგეობის დროს გაშენებული იქნა ერთ ქცევაზე ამერიკულ ვაზზე ნამყნობი ვენახი. 1909 წელს მიწა იჯარით მიცეს ვიღაც მებაღეებს რომლებმაც 1911 წლამდე ისარგებლეს ამ მიწით და მერე ისევ ამხანაგობას დაუბრუნეს თავის პირობის შესრულებით.

1911 წლიდან ამხან. აირჩია სხვა „მზრუნველები": სოფლის მწერალი, გიორგი თოფურია, გიორგი ბესელია და საადგილმამულო დაზიის პატრონი დიმიტრი ცომაია. „მზრუნველებმა" მოიყვანეს ვიღაც ვითომ მებაღე და მას მიანდვეს მეურნეობა. ეს ვითომდა მებაღე დარჩა სამ თვეს და მერე ისიც გაუდგა თავის გზას ამის მიზეზიც ის იყო, რომ არ მიცეს არც სასმელი და არც საჭმელი; ჯამაგირი ხო სულ მეტათ ჩაუთვალეს. ახლა ბ. „მზრუნველებმა" ამ მიწაზე ორ ივლისს დაათესიეს სიმინდი. ამით „მზრუნველებს" ის უნდათ სთქვან, რომ ვითომ ამ მიწაზე ვენახი არ გაშენდებაო; მარა ეს დიდი შეცდომაა.

მიზეზი მათი უცოდინარეობა და დაუდევრობა უნდა იყოს და არა ადგილის უვარგისობა. აქ ჩვენი „მზრუნველების" უვარგისობა უფრო ცხადია. ამიტომ საჭიროა ამხანაგობამ აირჩიოს უფრო შესაფერი და ენერგიული პირები, რომლებიც ნაყოფიერათ გამოიყენებენ საამხანაგო ადგილს და ხალხს რასმე შეძენენ სამეურნეო საქმეში.

**მწყემსი.**

## მუშათა ცხოვრება.

**ზინგერის განყოფილება ქუთაისში.** აქაურ განყოფილებაში მუშაობს 15-მდი ფულის ამკრეფი და საკერავი მაშინის გამყიდველი, 1 მექანიკი თავისი თანაშემწით. ეს უკანასკნელები 14-15 საათს მუშაობენ დღეში და ჯამაგირს იღებენ კვირაში მექანიკი 7 მ. და მისი ხელქვეითი 5 მანეთს. ამათ მოვალეობას შეადგენს მანქანების დაშინჯვა-აწყობა და შეკეთება საჭიროების დროს. ნამდვილათ კი ამ მოვალეობას გარდა ისინი ლაქიების როლს ასრულებენ. ასე რომ, ისინი თავისი შეუგნებლობით ერთ მუშას ლუკმას ართმევენ. არც „აგენტები" არიან შეგნებით მათზე შორს წასული. როცა ადმინისტრაცია ცდილობს ჩვენში უთანხმოება ჩამოაგდოს და ამით დაშალოს ჩვენი სოლიდარობა სხვა და სხვა საშვალებებით „აგენტების" ერთი ნაწილი ხელს უწყობს ამას და იგონებს რა ცალყბათ წასულს, რიხიანათ ამბობს: მართალია, ეს ასე იყო იმ დროს, მარა ახლა კი... ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ სულაც არ ესმით ამ ვაჟბატონებს თავისი ინტერესები, მარა მალე ამასაც ბოლო მოეღება: ესენიც იგრძნობენ, რომ მათი ინტერესი სულ სხვა რამეს მოითხოვს და მაშინ კი აედება ლაგამი იმათ, ვინც მათი უვიცობით სარგებლობს.

**ან-შვილი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი დიდათ პატივცემულ გაზეთის საშვალებით პასუხი გავსცე გაზეთ „კოლხიდის" კორესპონდენტს „სულით ობოლს".

გაზეთ „კოლხიდის" მე 96-ე №-ში მოთავსებულია წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ხონის განყოფილების წლიური კრების ანგარიში „სულით ობოლის", კორესპონდენტი ეხება გაზეთ „კოლხიდის" შესახებ გამართულ კამათს და სხვათა შორის დასძენს:

„აქ ადალო ბაგენი თვისნი სტუდ. ივანე ჭავჭანიძემ- ლანძღვა-გინება, როგორც კორესპონდენტს, ისე გაზეთს არც ამ იუპიტერმა დააკლო. მან ბრძანა: ადგილობრივ კორესპონდენტებს საქმის სიყვარულით კი არ ამოქმედებს, არამედ სახელის გაღიღების სიყვარულით! სქელი შუბლის პატრონი უნდა იყოს ადამიანი, რომ ასეთი ცილის წამება სთქვას. მე ვიწვევ მას სამედიატორო სასამართლოში და მოვითხოვ ყოველივე ნათქვამი დაამტკიცოს".

არა, ბ-ნო „სულით ობოლო", მე ჩემს სიტყვაში არც ერთ საგინებელი სიტყვა არ მიხმარია! მე ვილაპარაკე საერთოდ პრესაზე და მის წარმომადგენლების მოვალეობაზე და სხვათა შორის ვთქვი: „ზოგიერთ ჩვენებურ კორესპონდენტებს არც კი ესმით პრესის მნიშვნელობა და თუ მაინც სწერენ, ეს იმისთვის, რომ თავის სახელისა და გვარის ნუ ფსევდონიმის გაზეთში დაბეჭდვა ესიამოვნებათ". მე ეს ვსთქვი საზოგადოთ და თუ თქვენ, ბ-ნო სულით ობოლო, თქვენს თავზე მიიღეთ ალბათ პირი გეწვოდათ. რაც შეეხება ხონიდან დასტამბულ კორესპონდენციებს, ვთქვი: „მე მათ შორის თითქმის არც ერთი არ შემხვედრია ისეთი, რომელშიაც მოყვანილი ცნობა სიმართლეს მოკლებული არ ყოფილიყოს".

მთელი კრება დაამტკიცებს, ბ-ნო სულით ობოლო, რომ მე სწორეთ ასე ვთქვი, როგორაც აქ მომყავს ის, რასაც მე თქვენ მაწერთ და შემდეგ ბრძანეთ, -დაამახინჯეთ თუ არა ჩემი სიტყვები.

თქვე დალოცვილო, რაღა სხვისი შუბლის სისქეზე ლაპარაკობთ, განა უმჯობესი არ იქნებოდა, რომ თქვენი საკუთარი შუბლის სისქე გაგესინჯათ!?.

დასასრულ სამედიატორო სამართალზე; თქვენ მე სამართალში მიწვევთ მარა არ ვიცი კი რა შეურაცხყოფისათვის ჯერ, ბატონო, გამაგებიეთ რა ბრალს მდებთ. და შემდეგ მოგახსენებ. ჩემს თანხმობას ან არ თანხმობას. ამას ისიც უნდა დავუმატო, რომ თქვენთან სამართალი მე არაფრათ მესახელება, რადგან თქვენი ფიზიონომია როგორც ჩემთვის პირადათ, ისე საერთოდ ხონელებისთვის, დიდიხანია გამორკვეულია.

**ივ. ჭავჭანიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ა. სულაძელიძე.

## ქუთაისის ბაზარი.

ფუთი სიმიდის ფქვილი ღირს მანეთი და ორი შაური -- ექვსი აბაზი.

ფ. სიმიდი—თუთხმეტი შაური—ოთხი აბაზი და ერთი შაური.

ფ. ლობიო—შვიდი აბაზი, ყინტი ლობიო ათი შაური.

ფ. კომბოსტო—აბაზი.

ფ. ქართოფილი—7 შაური—ორი აბაზი

ფ. ახალი ხახვი—ოთხი აბაზიდან მანეთამდე.

გირვანქა ერბო (კარაქი)—ოცდა თვრამეტი კაპიკი—-ორა აბაზი

ყველი ორ გირვანქა ნახევარი (ჩარექი)—ორი აბაზი.

ყველი გირვანქა—აბაზი.

გადაზელილი ყველი (სულგუნი) წყვილი—ხუთი შაური—ექვსი.

პური ფურნისა პირველი ხარისხის—სამი გირვანქა—ცამეტი კაპიკი, მეორე ხარისხის თორმეტი კაპიკი, მესამე ხარისხის ორი შაური.

თორნის პური პირველი ხარისხის სამი გირვანქა თოთხმეტი კაპ. მეორე ხარისხის 13 კაპ.

ხორცი—ძროხისა ცამეტი კაპ.—თერთმეტი კაპ. (ადგილობრივი)

ხორცი—ცხვრისა ცამეტი კაპ.

ხორცი—კამეჩისა რვა კაპ.

ქათამი—ოთხი შაური—ოთხი აბაზი.

ვარია—აბაზი—ექვსი შაური.

შემა—ურემი შვიდი აბაზიდან—ცამეტამდი.

ღვინო ადგილობრივი ფუთი—თორმეტ აბაზიდან—თექვსმეტამდი.

კიტრი—ასი ათ შაურათ, არჩეული თოთხმეტ შაურათ —რვა-ათი—შაურათ.

სხალი—ფუთი ორი აბაზი—ათი შაური.

თხილი— „ რვა აბაზი დაურჩეველი, თორმეტი აბაზი დარჩეული კაკალი.

პამიდორი ფუთი—ექვსი—შვიდი აბაზი.

თევზი რიონის გირვ. შვიდი შაური

ეტლი ერთი გზა ქლაქში ხუთი შაური, სადგურამდე შვიდი შაური. სადგურიდან ცხრა შაური.

**მუშა ხელი.**

მიწის მუშა დღეში თავის ხარჯით—ოთხი აბაზი—მანეთი

დურგალი ექვსი აბაზი—რვა აბაზი.

კალატოზი, რვა აბაზი—ცხრა აბაზი.

**მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.**

18 აპრილიდან 1912 წ.

(საათი აღნიშნულია ქუთაისის დროით).

**ქუთაისიდან გადის:**

**თფილისისაკენ:** ჩქარი № 31, 1 ს. 34 წ. ღამით, სახალხო № 33, 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 35 1 ს. 50 წ. დღით.

**ბათომისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამით, ჩქარი № 33 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღამ.

**ფოთისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამ., სახალხო № 33 4 ს. 40 წ. ღამ., სახ. № 25 5 ს. 14 წ. საღ., ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღ.

**შორაპნისაკენ:** სახ. № 29 4 ს. 45 საღ.

**ტყიბულისაკენ:** სახალხო № 42 4 ს. 5 წ. საღ., სახალხო № 104 7 ს. 50 წ. დილ.

**ქუთაისს მოდის:**

**თფილისიდან:** სახალ. № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახალხო № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 38 7 ს. 16 წ. საღ.

**ბათომიდან:** სახალხო № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღით.

**ფოთიდან:** სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღ., სახალ. № 26 9 ს. 55 წ. დილ.

**შორაპნიდან:** სახალ. № 27 9 ს. 26 წ. დილ.

**ტყიბულიდან:** სახალ. № 41 11 ს. 9 წ. დილ., სახალ. № 103 7 ს. 30 წ. საღამ.

ჭურჭლეულობის და ავეჯეულობის მაღაზია

ძმათა ღლონტებისა

ქალაქ ფოთში (კ. რუხაძის გვერდით).

გვაქვს პატივი ვაცნობოთ ფოთისა და მახლობელ რაიონების საზოგადოებას, რომ ჩვენ სავაჭროში მიღებულია და ვღებულობთ ყოველ დღე დიდძალ შემდეგ საქონელს: ჭურჭლეულობა ფაიფურისა, ფაიანსისსა, ბროლისა, სპილენძისა, ემალისა, ალიუმინისა, ნიკელისა, თუჯისა და სხვა. ყოველგვარი მუზიკალური იარაღები, საპარიკმახერო ნივთები, სამოვრები, კლიონკები, სხვადასხვა ნაირი სახრაკავი მაშინკები, ლამპები ყოველგვარი გაზით მახურებელი სისტემის „T-BO CBѢTЪ". მაღაზიებისათვის, კანტორებისათვის და რესტორანებისათვის ვიძლევით სრული გარანტიით. აგრეთვე მიღებულია დიდძალი მელხიორის ნივთები, გვირგვინები, საკერავი მაშინები საუკეთესო სისტემის, ყოველგვარი სკამები, კრაოტები, მარმარილოს პირის საბანები, სარკეები და ყოველგვარი ავეჯეულობა, სრული მორთულობა სახლებისა, სასტუმროების და სხვადასხვა დაწესებულებისათვის.

ფასები დანიშნულია ზედ მიწევნით დაკლებული,

რაშიაც დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება თუ ერთხელ მაინც კი შემობრძანდება ჩვენს სავაჭროში. პატივისცემით ალექსანდრე და ლევან ღლონტები.

„ჯეჯილი"

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი. ოცდა მესამე წელიწადი. მიიღება ხელისმოწერა 1912 წლისათვის. გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა. პატარაებისათვის და მოზრდილთათვის. ჟურნალი „ჯეჯილი" თფილისში ეღირება 4 მანეთი, ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მანეთი. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი ორი აბაზი. ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შეუძლიათ მიმართონ: ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძეს ბაქოში ქ. მართა კვიტიაშვილს, მიხაილოვში—ვლად. ჩიქოვანს, გორში—კნ. თამარა თარხნიშვილს, სამტრედიაში—რაჟ. ნანეიშვილს, თელავში—კნ. ნ. ჩოლოყაშვილს, სიღნაღში—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს, ჭიათურაში—ქ. ჯაფარიძეს და ნიკო წუწუნავას, ბათუმში—მიხეილ კალანდაძეს.

რედ. -გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

მდინარე ფაზისის პირათ, თეთრ ხიდთან

გაიხსნა საზაფხულოთ

მიტროფანე ლალიძის და ამხ-ის

ხელოვნური სამკურნალო და ხილეულობის წყლის

წვრილმან სავაჭრო

სადაც ხილეულ-მადნეულ წყალს გარდა იყიდება საუკეთესო ქარხნის ლუდი, რძე, შოკოლადი, ნაყინი და სხვა. მ—1—4.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის, ქუთაისში

*) იხ. „ჩვენი ცხოვრება" № 13.